

1915 № 8, 9

# მათრასი

თბილისის  
გაზეთების  
კავშირი



№ 8

იუმორისტ. ჟურნალი

გაზეთის ყოველ-კვირულად მხარეები გამოცემენ: მათრასი  
სთ: თიფლისი. ტიპოგრაფია შრომა, გეორგი, ხრამაძე



სიყვარულის მსხვერპლი.

ცეცხლის ათი, მარად სისხლი, მსხვერპლი მსხვერპლზედ ემატება, შვების სხივი მოელვარე ცის წიაღში თითქოს ჰქრება.

სტირის სატრფო უიმედო, სტირის მიჯნურს, ცრემლად დნება, ყვაყვაორანი თავს დაგვიჩხავის არსათ ხსნა, არსით შვება.

ღმერთო, ღმერთო, ცნობა მსხვერპლი, ესდენ ცრემლი, სისხლის ლეარი, ნუ თუ ჩაჰქრეს საიმედო, ანთებული კელაბართი?!

მაგრამ არა, ძლიერია ხალხის მცნება, მისი სული, მაგარი ვით ქვა, კაფი და მელდვართ სცემს მისი გული.

განათადის სხივი მარად განათიდეს მაშვრალთ კერას და ჩაგურლთა მძლავრი რაზმი შვების ხმაზედ იწყებს მღერას.

გოგია

სადანა იღბალი!

ასე დილის ათი საათი იქნებოდა, რომ თავადმა ივანემ გამოიღვიძა. ზანტათ წამოადგა და ფეხბორიბნული წამოჯდა ლოგინზე. რამდენიმეჯერ გაიხიზრა, უღვაშებზე ხელი გაღისა და ღრმათ ჩაფიქრდა. გაიტაცა ფიქრებმა, გაასხლდა მთელი კვირის ქვიფობა, დარის გატარება, რომელიც მიუხედავად თარის ახალ ჩამოსულ მეგობართან. თავდას ამ ქვიფობის გასხენებაზე ნერწყვი მოადგა და სურვილით გატაცებულმა კბილების კრაკინი დაიწყა.

—კი, მართალია, წუხელის კარგი დრო გავატარე, მაგრამ დღეს სადღა წაიდე! —სასოწარკვეთილებით წაილაპარაკა მან: —დღეს მინც დარჩენილიყო, მაგრამ, რაც დროს გატარება დამაკლდა, ამ კვირაში შევისრულდებ.

ამ სიტყვების შემდეგ მან საკოდავთ გაიხედ-გამოიხედა, ახალუნს ხელი მოკიდა და ზებეში რაღაცა ძებნა დაიწყო. ამოიღო პაპირისის კოლოფი, გასინჯა, ცალიერი იყო. ამან მიღათ დააღონა. ისროლა კო-

ლოფი, რაც ძალიან და ღრინ ჰქონდა და თავჩაქინდრული და... დღეს ხანს იყო ასე გაჩურჩულე გულში უტრიალდებდა თქვენთვის არც მაქვს ფული, არც... კი არ მენდობა?!

—ჰო, მართალი! — სიხარულით წამობახა: —ბეტრემ არ თქვა —დღეისთვის სტუმრები მომიგოა. მოდი, ამ დღილიანთა წავად იქ, ვითამ და წავიფსწარი, თუ ჩემდა იღბლოთ მოთამაშები დამხვდა, ვითამაშებ, თავს შევიტყვე. შემდეგ ამას სადილი მოუყმა და დროს გავატარებ... ამფერ, ივანე, ამფერ. ძან განიერი ბიჭი კი ვარ, რა უცებ გვიხსენე. —ხმა მალღა წამოიძახა მან. —არა მეტი რა შემერჩება ამ გაოხრებულ წუთი სოფელში! —დამატა კოტა ხნის შემდეგ...

ამ მისაღეში იყო ივანე გართული, რომ ახლად შემოსულმა მსახურმა გოგია მწერილი მაიწოლა:

—წერილია, ბატონო, საიდანაც ვილაკა ბიჭმა მოიტანა. — მოახსენა მსახურმა და თან ცნობისმოყვარეობით შეაჩერდა ივანეს.

—საიდანა, ბიჭო?! მიაგება სიტყვა ივანემ და თან უცებ გამოართვა წერილი. წერილის კითხვის დროს პირზე ღიმი მოსდიოდა. სიამოვნებასთან ბეჭების ცმაკური დაიწყო. წერილი რამდენიმეჯერ გადაკითხა და განსაკუთრებით ყურადღებას მიაქცია იმ ალავს, სადაც მომხსნა ასოებით ეწერა: „მამო ივანე! აბა შენ იცი, რა მალე მოხვალ. აქ ერთი მონარდე კაცი ჩამოვიდა, ფული წორაბათ აქვს, უშურთა თამაში ვერ გაბედე, ვითამაშე, თუ ფული არა გავს, ჩვენ მოგცემთ. აბა, შენ იცი თუ არ დავკარგებე ლუკმას“.

—აა, ეგ კარგი საქმე! — თავის ქნევით წამობახა ივანემ და საჩქაროთ წამოადგა.

—აბა, მიმეღე, გოგია, მიღე გაიწოდე ფეხსაცმელი და შენი პატონისცქვე მე ვიკე. ხეწნით უთხრა ივანემ მსახურს, რომელიც ხახა დაღებული მისწერებოდა ბატონს... ივანეს აღურთოუანენის გამო მასაც პირზე ღიმი მოსდიოდა. თუმცა საქმის ვითარება არც კი იცოდა. ბატონის სიტყვებმა იგი გამოარკვია. უნდოდა ეთიხა ამავე, მაგრამ ივანეს ხელმეორეთ ბრძანების კილომ სურვილი გულში ჩაუკლა.

—კი, ბატონო, მევის დარდი ნუ

ეხლა რომ ვხედვებით ერთმანეთს, ზრასტის\* თუ ტყვიით თქვენ ნაცობსა, თორემ გამარჯვება როგორ ენდა უსურვოთ? ათას ნიარად იცვალა ცხოვრება. უწინ რომ გამარჯვებას\* ეუბნებოდი მეზობელს, მტერივ გამარჯვება იგულისხმებოდა, მეომბლის გამარჯვება შენი გამარჯვება იყო, ეხლა კი... წარმოიდგინე, ჰენ მეზობელს გამარჯვებას უსურვებ ვა იმას კი სასამართლოში შენზე საივარი აქვს შეტანული და ორი ცევა ადვილი, სახლ-კარი და ვენა იუნდა წავართვას. მოდი და გამარჯვება უსურვე.

ან არა და გამარჯვება უსურვე ხენს მეზობელს, რომელიც დღე დღე იმას ფიქრობს და ღამე სულს ესისწრება ისე მოაწყოს საქმე, რომ შენი კარ-მიდამო ხელიდან გაოგავდეს...

ან კიდევ გამარჯვება უსურვე მეობლებს, რომელიც თურმე შენ კოლს ეკურაკურება და სულ იმის დაში და ფიქრშია, როგორ მოვაკრებო, რომ ღეჩაქანთ ერთთ ნამუღ აგხადლოვა.

არა, ისევე ის სჯობია, \*გამარობას\* თავი დაენებოთ და \*გამარობა-მშვიდობით\* —ის მაგიერად \*ზღასტი\* და \*პრაშაი\* შემოვიდოთ...

\* \*

ირგვილე გლოვა, ცრემლთა დენა, ვეი ძაბა, ბნელი რიდე, ოჯახეთად გადაიქცა ღვა, ხმელეთი, კლით-კიდე.

სიხლის სუნნი ზეცას ერთვის, ანჯვას არ აქვს დასასრული, ქუსტრება კაცთ-სამყარო, აითრებუნა სიყვარული.

გაქცა. — წამოიძახა და დასტავა წა-  
ლებს ხელს, რომ ბატონის გარანება  
ჩქარა აესრულებინა. ივანეს ბოგვის  
სიტყვები არც კი გაუფრინა, ისე გა-  
ტარებული იყო ფიქრებში: წამოი-  
ღვინა, ვითამ წარს ვითამ წინა იმ  
უცხო ვინმეს. — არა, მოგო ოც  
მანათილე, აჰა, „დაუტ“ უთხრა ივან-  
ეს, მოპირდაპირე კი ყოყმანობს,  
მაგრამ მაინც გაყავ, აჰა, საქმე უკუღმა  
დატრიალდა. მოპირდაპირე „დაუბა-  
სეს“ ეუბნება, ივანეც ყოყმანობს,  
მაგრამ, როგორც მოთამაშეს, „რისკ-  
ზე“ მიყობა. ივანეს კიდევ ივანე და  
„დაუბასარს“ ეუბნება. ამ ფიქრებში  
იყო ივანე და რაც შეიძლებოდა,  
ჩქარადაც კიდევ. ოცნებანი ჩაფლულ  
ივანეს შარავლი უკუღმა ჩაქცა და  
ისიც დავიწყებოდა, რომ წინდების  
ამბარა იყო, შემოირტყა ქამარი, პი-  
რის დაბანა ვიღას ახსოვდა, ისეთი  
ლდი საქმისვის ემზადებოდა კაცო,  
დაიხურა ტული და უნდა ვაღგამოდა  
გზას, რომ გოგიაც შემოვიდა ვაშე-  
დილი ფესხაცემლებით; გაკვირვებით  
მიამჩრდა ივანეს, მიმავალი რომ დაი-  
ხნა.

როგორ, ბატონო, ფეხშიშველა  
მიბანანდები? შეეკითხა გოგია.

ივანე ვითომ და შეუშინებლათ  
დაიხინდა ფეხებზე და რომ სირცხვი-  
ლი აეცილებია: „მე ვიფიქრე, დერე-  
ფანში დახვებდები და ჩვეულებამ მეთ-  
ქიო.“ — უთხრა. შემდეგ იგი უტუბ  
მოტრიალდა დასაჯდომათ და გამო-  
ართვა ფესხაცემლი.

— ეგ რა ამბავია, ბატონო, შარ-  
ავლი რომ უკუღმა გაქცა? უფრო  
გაკვირვებით ჰკითხა გოგია ბატონს.  
ივანემ დახედა შარავლის და გა-  
წითლდა, არ იცოდა, რა ეთქვა...

— გაგაძრობ, ბატონო, და წაღმა  
ჩაიციე. — დაუმატა გოგიამ და თან  
შეამჩრდა.

— არა, ჩემო გოგია, დღეს ისეთ  
ალაგებს მივდივარ, რომ დილიდან  
საღამომდე ჯდომამ შემეხვლება და  
რომ შარავლი არ გაიქლექვს, იმი-  
ტომ უკუღმა ჩაიციევი. — მიუგო ივან-  
ეს. გული კი სიბრალით ეფსქობდა,  
ასეთი სისულელი რომ დაეგრობა.  
გოგიას უნდოდა ეთქვა: თუ ასე იყო,  
ტყუილი შარავლი ჩაეგვიცია, მაგრამ  
ივანეს სიტყვებმა ჩააწყვეტინა ხმა:  
— არა, როდესაც მეჩქარება, მა-

შინ რომ გაუწყურება ღმერთი. — წა-  
მოიძახა ფეხის ჩაქმზე გაბრუნებულ-  
მა ივანემ და თან მაგართ დაარტყა  
ფეხი იატაკს. ფეხი მაინც არ ჩაივდა  
წაღმა. ივანემ განიზრახა ზეთთა პი-  
რის გაქცა, ამ მიზნით დანის მო-  
ტრის კიდევ უწყვეთა მსახურს, მა-  
გრამ წაღებისავე საბედნიეროა ფეხი  
კიდევ ჩაივდა. ყოველივე შუათ იყო.  
მხოლოდ პირის დაბანა აჯლდა, მაგ-  
რამ როდესაც გოგიამ ვახსენა, ივა-  
ნემ უარი უთხრა და დაფურცობით  
დასველებული ცხვირისახოლო დაიწყო  
თვალების წმენდა და ისე გაულ-  
ვა გზას. რაც შეიძლება ჩქარა ნაბი-  
ჯით მიდის თავადი ივანე დანიშნულ  
ალაგას. მიუხალოვდა, აჰა, უნდა შე-  
უხვიოს კიდევ, რომ უტებ თვლით  
მოპყრა პეტრეს.

— მოდი ერთი მაგასაც გამოე-  
ლაპარაკები. გაიფიქრა ივანემ: —  
ეგებ მალე მოვრჩე ჩემს საქმეს, მა-  
შინ მაგისკენაც ჩამოვივლი. ამ აზრით  
იგი კიდევ შეჩერდა.  
დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

დილა მშვიდობის, კნახა პე-  
ტრე! როგორ მშვიდობით ბრძანდებ-  
ნი?.. სამაგალითით მოგწყინდი,  
თქვენ ნუ მომიკვდებით. მისალმა  
ივანე პეტრეს, — ბატონა საქმე მაქვს,  
მზერე კი თქვენსკენ გამოვივლი, ცო-  
ტა წაიზარდოთ, — დაუმატა და თან  
გფუატიკებით ჩაატყერდა თვალებში,  
რომ პეტრეს სულის კვეთება ამოე-  
კითხა...

— მეც ძაან მომწყინდა, თქვენ  
ნუ მომიკვდებით, და ამიტომ ვადა-  
წყვეტილი მქონდა დღეს სტუმრები  
დამებატივებია, ცოტას წაეჭიფებ-  
დით მეთქი, მაგრამ ერთი უბედუ-  
რება დამებართა: ჩემს ქვისს რძა-  
ლი მოუყვდა და იმის გასასვენებლათ  
მივდივარ სოველში.

— უკაცრავათ, მშვიდობით, მშვი-  
დობით. — გულ-ნატყენა წაღმა-  
რაც ივანემ და გაშორდა პეტრეს.

— სდ არის ის კაცი, მიჩვენეთ.  
— ქნებთ მიახას ივანემ თავის მე-  
გობრებს მისვლისათხავე.

— სდ არის და ჯანაბას მისი  
თავი და ტანი, არ მოიცადა. მაინც  
რა, შე მამა ცხონებულიო, რომ აღარ  
მოგვიყვანა ღმერთმა, რა დავგმობთა?

— მოწყენილათ მიუგო *გოგია* მათ-  
განა. სხვები კი ნერწყვი გაშროლო,  
გავიფრთხილები სახით გამოძინეთ მის-  
ჩვეულებლი *გოგია*

— წაიდა? — შეამჩრდა ივანით წა-  
მოიძახა ივანემ: — არ დაიკლუე კა-  
ცი? იქაც დავკარგე და აქაც... შეუ-  
ჩენს იღბალს, ძალი მიაკვდა კი-  
სერში... — სთქვა და ჩადა მეგობარ-  
თა მწკრივში და მათთან ერთად  
სწულდა ამ სამგლოვიარო ამბავს.

— აბა, დღეს სდ წაიდეთ საქმე-  
იფოთი? წამოიძახა ერთმა.  
— მართლა, სდ წაიდეთ? და-  
უმატა მეორემ. ამის შემდეგ ყველა  
ამ საკითხის გადწყვეტა შეუღდა.  
ივანე კი... „სადა იღბლიო“, წამოი-  
ძახებდა ხან და ხან გულ დაწყვეტი-  
ლათ.

სერგო.

## სულს განცდანი

(გუშინ და ქსელა)

შავ-ფიქრებით გულ გაბსტავულს.  
უიმედოს, სასო-მიხილის  
არაა მწამდა და ველოდი  
მომავლით მხოლოთ სიკვდილს...

უტებ ქაჩმა დაუბრება, —  
ამობრწყინდა მზე ღიადი;  
გულს ნადველი ჩამოშორდა,  
გაპქრა ბნელი და წყვილიაი.  
მოკჭრიალე მზის სხივებში  
დაღინახე შენი სახე;  
კვლავ იმედი დამიბრუნდა  
და შორს ვაგდე სივალახე.

გაესალკოდებდი და ჩაენი  
იმ საერთო მეც ფერხულში;  
სიკაცხლისა ნაპერწყალი.  
მიღვიოდა მაშინ გულში.

გული კრთოდა სისხარულით,  
შეგება გრძობდა და ბოგავედა;  
განთიადი აღდგომისა  
შორით ნელ-ნელ მოგოგავდა...

მაგრამ უტებ მოიღრუბლს,  
მოეფარა მზერე მთასა  
და გავერა შავი ზოლი  
ლაყვარლოვან შეგების ცასა.  
უტებ გაქრა და ღრუბელში  
დაიმაღლა შენი სახე  
და დამკვიდრდა კვლავ ამ ქვეყანად  
სიმწუხარე-სივალახე.

კვლავ ფიქრები უიშვიადად,  
 კაეშანი და ნალველი,  
 კვლავ სიბნელე-სიწყვედიად  
 და სიჩუმე გულის მწყველი...  
 დღეს სხვა რიგით შეიკვლია  
 მაშინდელი გამოცანა;  
 სისხლის ზღაპრი ინათლებს  
 არე-მარე, მთლად ქვეყანა.  
 და შემდეგში რა იქნება,  
 რას გეშინადებს მომავალი? —  
 მთის გაღალით წვეთი იწვევს  
 და ლევიდება ნაეტყუალი  
 მზემ მთის წვერით ამოწვევრა,  
 ქრება, ქრება ეს წყვედიად;  
 შორით ნულ-ნულ კვლავ მოგოვავს  
 შენი სახე განთიადი.

**ბერი-ქედანი.**



**ძველი ამბები.**

ჩემმა მეგობარმა მიაშბო ორი ამბავი.  
**ამბავი პირველი.**  
 ორმოცი წლის წინათ ჩვენ ერთი  
 ბოქალელი გყავდა. განტყუელი მექრ-  
 თამე იყო და ძლიერ მოხერხებული  
 და სიტყვა-მოსწრებელი. ბევრჯელ  
 უჩივლეს მექრთამეობისათვის, მაგრამ  
 აბა იქნა, ვერ დასძრეს ადგილიდან.  
 ხალხი გაოცებული იყო. რამდენი  
 პატიოსანი, სამართლიანი და კეთილი  
 გუბერნატორი გამოიკვალა ამ ბო-  
 ქალის დროს, ვინ მოსთვლის...  
 გამდიდრდა ბოქალელი. იმდენ ქან-  
 ქარი შეიძინა, რომ გადასწყვიტა,  
 დრო არის ესლა ერთი კარგი სასახ-  
 ლე ავაჯო და მოვიყენოვო. დაიწყო  
 მშენებნიერი სახლის აგება. აბა რას  
 დღეინანება ქრთამებით მოქურხებულ  
 ქანქარს? ძლიერ მალე ავაჯო მშვე-  
 ნიერი ორ-სართულიანი სახლი, სა-  
 ხურავი-და აკლდა...  
 ესლა კი დარწმუნდა გუბერნატო-  
 რი, რომ ბოქალელი მართლა მოქრ-  
 თამე ყოფილა. დაიბარა ბოქალელი.

ესლა კი ვერავითარმა გაიპყრობა  
 და ენა-წყლიანობამ ვერ უშველა ბო-  
 ქალელი. საუკეთესო საბუთი ორ სარ-  
 თულიანი სახლი ნათლათა და აშ-  
 კარად დაღიდებდა ბოქალის მექრ-  
 თამეობას.  
 გუბერნატორმა უბრძანა ბოქალს:  
 — დღესვე ქალადი შემოიტანე  
 ორტატკისა.  
 — ნება მიბოძეთ, მოვასწენთო...  
 — ხმა, კრინტი... დარწმუნდი,  
 რაში მართლა მექრთამე ყოფილხართ.  
 ბოქალელმა მოახსენა:  
 — თქვენო აღმატებულებებო! ჩემი  
 დათხოვნილი აბა რა გამოავა? მოკრთა-  
 მეობას კი ვერ მოსპობთ, პირი იქით  
 უფრო ვააზვიადებო...  
 — რაო? ეგ როგორ? ამისხენით.  
 — ნება მიბოძეთ მოვასწენთო.  
 მართალია მე ქრთამებით შეგროვილ  
 ფულით ვაშენებ სახლს, მაგრამ  
 აბა ნახეთ — თითქმის გათავებულა  
 შერობა, სახურავი და აკლია. ნება  
 მიბოძეთ დღემთავრო და მეტე ნება  
 თქვენი აღსრულდეს... დამითხოვეთ  
 სამსახურიდან. თორემ ხომ მოგვეტე-  
 ნებთ, ჩემი მოადღეეც მოისურ-  
 ვებს სახლის აშენებას და ესლა იმან  
 უნდა აიღოს ქრთამები. ბოროტება  
 ძირში უნდა მოისპოს, საძირკველში.  
 მე საძირკველი კი არა, თითქმის და-  
 ვამთავრე შერობა, სახურავი და აკ-  
 ლია: ნება მიბოძეთ სამსახურში და-  
 ვიჩე, სახლი დაგამთავრო და პატი-  
 ოსნებას გეფიცებით, შერობას რომ  
 გაეთავებ მაშინ ჯამაგირი და სახ-  
 ლის ქირების შემოსავალი მეყოფა და  
 ქრთამებს აღარ ავიღებ. მეყოფა, რაც  
 ავიღებ.  
 უფროსს ისე მოეწონა ეს პასუხი,  
 რომ ბოქალელი სამსახურში დატოვა  
 და მას შემდეგ მთელ გუბერნიისში ამ  
 ბოქალისთანა პატიოსანი, მართა-  
 ლი და სინიდისიერი ბოქალელი მეო-  
 რე არ მოიძებნებოდა, თითონაც და-  
 ანება თავი ქრთამებს და სხვისაც  
 უშლიდა მოქრთამეობას.  
**ამბავი მეორე.**  
 ეს ამბავიც ორმოცი წლის წინათ  
 მოხდა. მეტად სამართლიანი, პატიო-  
 სანი, კეთილი და მოწყალე გუბერ-

ნატორი დილით გამოვიდა სახლის  
 აივანზე, გადახედა ქუჩას და დაინა-  
 ხა მახრის უფროსი, რომელიც დიდი  
 ხანია მახრასი უნდასწავლებიყო.  
 ძლიერ გაუყვირა და უფროსმა მა-  
 ხრის უფროსის ქალაქში ყოფნა ნე-  
 ბა დაურთველიდ და სსტკემა გუ-  
 ბერნატორმა გადასწყვიტა — ლახათი-  
 ანად დავტყუას გუბერნატორსაო.  
 ამ ფიქრში რომ იყო, დაინახა ქუჩა-  
 ში მახრის უფროსის თანაშემწე. გა-  
 ოცებული გუბერნატორი თვალმებს  
 იშშენგტა.  
 — დალახეროს ღმერთმა... ხელავ  
 მავთ თანხელმას? მახრასი ავახეკე  
 იქაორმობას იკლებენ და უფროსი  
 და მისი თანაშემწე აქ ბრძანდებიან.  
 დაიბარა ორთავი.  
 ეს რასა ვხედავ. ორთავი  
 აქა ბრძანდებიან და მახრასი კი უეც-  
 ველია ესლა ავახეკი იკლებენ...  
 მახრის უფროსმა მოახსენა:  
 — რასა ბრძანებთ, ბატონო. რო-  
 დესაც მე და ჩემი თანაშემწე ქალაქ-  
 ში გახალავართ, მახრასი ავახეკებს  
 რა უნდათ?!.  
 გუბერნატორს ძლიერ მოეწონა  
 ეს პასუხი  
**ეშშაქის ფეხი.**



**მესტეირული**

ამ დილას შაშვმა დაძძახა:  
 ზამთარს ელევა სულიო,  
 საცაა აბიბინდება  
 კეკლუტი გამოხეხულიო.

დღესასწაულებიც დაგვიდგა,  
დაუბთი მოკანზულოი,  
სტიგირი აიღე, იმღერე,  
დაიტკებ სული გულიო.

მადლობა უთხარ ჩიტუნას,  
რომ მომაგონა სტიგირია,  
ავდექი, ხელში ავიღე,  
გულას დავადე პირია.

მაგრამ ზარს უფრო ვეწყობი,  
ვიღრე ამ დროში მღერასა,  
რა ძალ-მიძს არ თანაურგძნო  
საერთო გულის ძეგრასა!..

თავისუფლებას ველოდით,  
ნაცვლად მძინვარებს ოშია!  
ვინც გაიმარჯვოს ნეტავი  
ჩვენზედ რა წასადგომია?

ვინ ხელებს სტოვებს, ვინ ფეხებს,  
ზოგნი მთლათ ჩაჰკლეს ბრძოლაში,  
შიმშილით თითებს იჭამენ  
მათი ცოლ შვილი ოჯახში.

აღიორ-წახსნილმა ვაჭრებმა  
ხორცი დავგახბრეს ძვალზედა,  
ძრამა ფულისთვის ქალები  
ამას იკრუქავენ თავზედა.

სოფლისა ნაძირალები  
გვაპარავენ ხარებს, ძროხებსა  
ისედაც ვაჭიერებულებს  
ვარესად წავგებოქმებსა.

ესთქვათ მიაკვლიე მეცასებს  
დაშამბული აქვს ტყავები,  
მიმართე ვისაც ჯერა არს  
და საქმეს მაგრათ შაგები.

აქ დალალები გაჩნდება  
ჭირისა მოსაკლები,  
ფრიალობს ანაფორები,  
გადის გამოდის ქრთამები.

პატრონს პანღური მოხდებდა  
ჭურღლები იცქიპებიან,  
ვარშემო ხალხი შეჭყურებს  
თვის ტყავში იხრაკებიან.

ზოგ-ზოგი მასწავლებლები  
სწავლას იღებენ მასხრათა,  
კარტი, ლოთობა გამხორა  
მათი სიცოცხლის სახსრათა!

ახალ-გაზრდებიც შეეტკობა  
მოშამბულ ატმოსფერასა,  
სულ ლაზნანდრობა, ხუნტრუცი,  
სხვას კი ვერ ნახავ, ვერასა!

შრომისა ძენი სულს დაღვეენ  
ბობღავენ განარწყულია,



ობ, მოვეწირები ნეტავი  
მათ გაუმთელდეს წყულულია?

შეგბისა დილა გათენდეს,  
სიმართულ დაჯდეს ტახტზედა,  
აყვავდეს ძმობა-ერთობა  
მშვიდობა ქვეყანაზედა!..

მაშეინ შევხვდები აღდგომის  
ზეიმითა და ლხენითა,  
თქვენც მოგილოცავთ კას დღეებს  
დე კრიმინალის ენითა,  
გაზაფხულია ყველასთვის  
გამქარცხელი ჭირისა,  
მინამ ზარსა ჰგავს სიმღერა  
ჩემი ქამანჩა-სტიგირისა.

შხანკლა.



## ჩემი „ვიზიტები“.

(შემდეგი)

ის იყო, უნდა წავესულიყავი სავი-  
ზიტით განზრახულ აღავას, რომ  
ბაზარში რაღაც ხმაურობა მომესმა.  
მივიხედე და შემდეგი სანახაობა ვი-  
ხილე: ერთ დაბალ, ქალარა შერეულ,  
ფრაკში გამოწყობილ ცილინდრო-

სანს, ილღიაში ამოწყეო გაზთებთ  
და ხალხს ძალათ აჩრდა ხელში:

„იყიდეთ კარგი გაზეთი,  
ახალ-ახალი „თემიო!“,  
შეიგნებთ, განვითარდებით,  
მეზობლები ხართ ჩემიო.

მე კი მოღვაწე ვახლაივარ,  
სხვა-გვარი, ახალ-მოდენისო,  
თან გამყიდავი გაზეთის,  
თანაც პატრონი „ცოდნისო!“.

თან მალაშე პატრიოტი ვარ,  
თანაც ქართველი ჩარჩიო,  
ნათრევი, ნაციმბირალი,  
მრავალჯერ განაქაჩიო.

რა გინდა მე არ ვიკადრო,  
ყოველთვის, ყოველ დროშიო!..  
(იყიდეთ კარგი გაზეთი,  
მოიღეთ ხუთი გროშიო!)“

დავატყვრი ცილინდროსანს და  
სწორე გითხრა შეტად გამაკვირვა  
მისმა მამაკობამ. ჩვეულებრივ გაზე-  
თის გამყიდავს არა ჰგავდა, ხან მარ-  
ტხნივ გაქანდებოდა, ხან მარჯვენ-  
მეც უკან მივეცი, ერთ სამიკინო-  
ში შევიდა და მიკიტანს მიულოცა:

— ქრისტე აღსდგა მეგობარო,  
მიირთვით ახალი „თემი“.

— ქეშმირიტად მაგრამ ჩვენ ეს  
გაზეთი უკვე ვიყიდეთ, აი, მეორე  
გამყიდავიდან ავიღეთ, აწვენა მიკი-  
ტანმა.

— როგორ თუ იყიდეთ! მე მოვ-

სულვარი შენთან, სულ ერთია, თუ გინდა ვახეთს ნუ აიღებთ, ოღონდ გროშები კი ჩამოღეთ.

ზრდილობიანმა მიკიტანმა აღარ გაგიურტა, შავი ფული ჩაულა ხელში, ხოლო დაბალის ხმით ჩაილაპარაკა: მათხოვარი თუ ხარ, შე კაი კაცი, უნდა სხვანაირად მოიკაზმო! კაცი პრინცსა გვეხარ და გროშებს თხოულობ?!.

ცილინდროსანმა ხმა არ გასცა, ვითომ არც კი გაუგონიაო, ჩემსკენ შემოტრიალდა და მე მომილოცა ქრისტეს სახელით „თემი“, (აღმათ იმ უზედღურს ქრისტიანი ვევგონე) მე კი სამაგიეროთ ეშმაკეულის სახელით „მათრახი“ უნდა მიმელოცნა, მაგრამ მათრახის დანახვამ ცუდით იმოქმედა ცილინდროსანზე, პირი იპრუნა, უნდადა ხიფათს აცდენოდა. მე კი ისე მაგათ მივარტყე კუსტოზე მათრახის წვერი, რომ ფრაკის უკანა კალთები სულ ჩამოვაგლოჯე. ცილინდრი იქვე დაუფარა და მაგრამ არც კი მოუხედნია, გაზეთებიც იქვე დაჰყარა, დუმაზედ ხელი მოიჭირა და გაქცევა იკადრა. მე კი რომ უფრო შემეშინებია, უკან გამოუდევქი მათრახით, დავკვილე: ვერ წახვალ მეთქი და ერთი ლაყე კვერცხიც დავატკლიცე მოტვლეული თავზე. მისმა ღრიალმა მთელი ზაზარი ფეხზე დააყენა, ვირთხასავით ვარბოდა და თხოულობდა ქრისტიანებისაგან შეელას:

მიშველეთ ხალხნო, მიშველეთ, ვინა ხართ ქრისტიანიო! ეშმაკეულმა მათრახით ამიწვა ზურგის კანიო.

გვერდებზედ ტყავი ამაძრო, დამილილაყა ტანიო და ჩემი ვოკრა გაჰხადა საცემი, ბარაბანიო!

სირობას მოკცემთ, ენდვეით პატრიონებს ჩემსაო, რომ დღეის შემდეგ ბაზარი არ გამოვიტან „თემსაო“, მხოლოთ ეხლა კი ნუ მომკლავს, აღდგომა გამოითენოსო, შემდეგ თუნდ ჯოჯოხეთშიდაც მათრახით გამოიდენოსო!.

ხალცი იცინოდდა გვიძახობდა — ახია მაგ ვაიძვეფრად მათრახის კუდიო. ბევრი იმასაც მთხოვდა ერთი ორი მათრახი კიდევ გადამეკრა მისთვის, მაგრამ საჭიროდ აღარ ესცანი, რადგან ერთ თმა-ხუტუკა, მომკრო ტანის ყმაწვილს მოკვარი თვალი, ჯიბეები გადმოებრუნებია, ტრამვის ლიანდაგზე დაწოლილიყო და გულამოსკენით სტროდა. დამინტერესა იმის მწუხარების გაგება, მაგრამ ვიი მისთანა ამბავს რაც იმას დამართნია და რასაც ჩენი მკითხველები მომავალ კვირას გაიგებენ.

ეშმაკეული.



„ქაცხიანცი“

(მეშე სამაღიგეთ ნაწილში).

ტელეფონისა ბოძებდა აცოცდა ჩვენი ქაცხა\*) და დაბლა მაყურებელსა ქრისტე აღსდგაო დასძახა!

ბოძებზედ ასულა კი ვიცო არა მჭირდება კიბეო, როგორიც თავი ვაბიათ ისეთიც გინდათ ჯიბეო.

მე თუ გიყი ვარ, თქვენ აბა როგორ ბრძანდებით კუთხუდზე რაც კი გვეგულისთ ჯიბეში სხეები იყოფენ შუახუდ.

და თუ მარგუნეს ცოტა მეც დენიო არაყის ფასია, უნდა ვიგიყო მაშ რა ვქნა? სტოვრება მეტათ თარსია.

პოლიციელიც მიცნობენ, ვბრძანდები ქაცხიანი, იქნება გიყი გგონივართ? ვინა ხართ ჩემზე კვიანი!

გიყი რომ ვიყო, მთავრობა განა ვამიშვებს ვიარო?!

ერთის ნაოვლი ნაწრომი ორ სამ კაცს გაუზიარო... აგერა თვლიო მკაულებს! უბნისა ზედამხედველს თვით ბოქალსა უნდა სწავს, ამისთანა ქუჩის დამცველი.

იცან ჩემი ცხოვრება, ამით ვშოულობ მწლებსა, ყველამ იციან და მისთვის არავინა მცემს მე ხმასა.

განჯის-კარელი



დაბა-სოფლები.

ს. სამხოთ.

ჩვენი კუთხე გამოფხიზლდა, არის კობტა სანახავი, სხვა სოფლებს არ ჩამოვრჩებიოთ არ მოგაკვლეთ ჩვენი თავი. იმ ოთახში, სადაც წინად გაისმოდა: ხლუსტ, დავი, ბიბლიოთეკა გავხსენით, მაგრამ არ გვაქვს საკითხავი!..

დიდი შრომის მოყვარეა ჩვენი ინტელიგენცია, (ყოველ კუთხივ დაგზავნა შემოწირულების სია), მაგრამ ჯერე, მათ თოვნანხედ ხმა არაყის გაუცია!.. (ჩვენ ვიღვიძებთ, სხვებსა სძინავს? სადაური ნამუსია!)

უნდა ყველა დაგვეხმაროს წესია და სამართლი, თორემ ასეთ ამბის მომსწრემ სადლა გავაჭკიროთ თვალი?!. ბიბლიოთეკა გავხსენით, (წიგნი არ გვაქვს ერთი ცალი!) სახლის ქირას ტყვილათ ვიხდით (ვაი ჩვენი ცოდვის ბრალო!).

წიკარტი.

(\* ჯიბეებში ესე უხანია.

# სხა სოფლიდან.

(ხნაკის ავან-ჩაენი)

აქ სთქვენ ზოგიერთებმა:

აქ მოსხობა მარიობა,  
ის გავრავს, ვალით და ვაზით  
ენ სხების გამოაზრება.

ამირიდან ავრძალათ

სტუმრობა-წვეულებათ,

დე ისტორიას ჩაბრუნდეს  
ეს მაენე ჩეულებათ\*.

ესე ამბავი რა ესმათ

ჯოჯობეთისა ძალეხსა,

(ტყინ ვლავებულ რეგენებსა,  
ქუაზედ განაწყარებებსა.

შექნენ უმგავსო ღრილით,  
სთქვენ: #ვინ გაბედა ესათ,  
ვინ გვიშლის სმს და ლოთობას  
ჩვენ მარიობა დღესათ!..

კინტი არ დასძრათ, არა ქნათ  
თქვენ საქმე საძრახეით;  
არ შედარებინათ სოფელით,  
არ მოგუქრათ ცოცხლად თავით.

ჩვენ გვიყვარს სხა და ქვიფი,  
ჩუმი და კრივი თანათ,  
როს ტრიალებენ ჰაერში  
ვტი. ხანჯლები, დანათ!..

მაინც ვაღვიხით დღეობას  
ამ ახლო მომავალშით,  
თუ გინდ რომ საცხოვრებელიც  
სულმთლად წაგვაროვნ ვალშით.

ჩვენ გზრუნავთ მარტო მუცლისთვის  
(მარტომაც გეთლიან ქაქადო)  
სხისი ქუა და გონება  
არ ვვიღირს ჩალის ფასადო\*.

ქვეყანა გლოვას მოუყავს  
ეს ბურავს შავი ნისლით,  
გაბარტახებულ მინდორ ველს  
უფედ რწყავს კაცთა სისხლით.

იქ ომი არის სასტიკი,  
ელავს ჰაერში ხმალით,  
თოფ-ზარბახნები გრგვინავენ,  
გუზგუზებს ცეცხლის ალით.

სიკვდილი ლაღათ ხარხარებს  
მოუღრესია ცელით,  
უთვალავ გმირთა გვამებით  
საესეთ ბრძოლის ველით.

ბევრსა ჩვენს მოძმეს შრომისგან  
ტანჯულსა გინაწვალეგებსა,  
მტრის ტყვიით გულ-მკერდ განგმი-  
რულს

დღეს ყვანი ჰკორტნის თვალეგსა.

აქ კი თქვენ ამ დროს გაჰყვირით:  
—გავმართოთ. ნადიმებოთ,  
თუ გინდ, იქ ომში ერთიან  
ამოწყუნენ ჩვენი ძმებოა!..

უყეთეს რჩევას არც ველით  
თქვენს სქელ გოგრებთანათ,  
ნეტად იმ სოფელს, რომელსაც  
ბლომად ჰყავს თქვენისთანათ.

კვახობე.



## „მეჩონგურე“ ქაქადი

უსენ ვაქარის ცოლი ვარ  
ფატმან-ხათუნი დაბაში,  
ემშაის არ მეშინია  
თეთი ალ-ქაჯი ვარ კაბაში.

ქმარი გავსწირე, ნამუსიც  
გავცეალე ჩანჩავირზედა,  
თითონ უსენიც მრავალჯერ  
მყავდა სამარის პირზედა.

შმა-გესლიანი ენა მიქეს,  
გული — ზღვა ბორბებისა,  
გრძნო-გონება დიაცის,  
თავსაკი — უდი ხნებისა.

როცა ავთანდლო ვიხილე,  
მეძენელი დარეჯანისო,  
მას გაუგზავნე წინდაწინ  
მე ვასაღები კარისო.

მივიღე, გაუმეჯურდი,  
არ მოვადრდე პირისო,  
უსენი თუ კი გავსწირე  
მით უფრო ჩანჩავირი.

მარა ხიფათი მელოდა  
დამგომბელს ჩანჩავირისო,  
რომ არ დავეგდე საქვეყნოდ  
სათრევედ ხალხის პირისო.

უთხარი, დღემდის ჩვენ შორის  
ტრუობა და სიყვარულით  
უნდა სხვა გვარად შეგსეკლოდ  
დავიმორჩილოდ ვეფრევესა  
„ვიღოს მოგცემი შენგან სიყვარულად,  
მე გაგიხდები დედათი,  
თუმც ბევრი სხვებიც უცდიან  
მიზრდია შენდა ბედათი.“

მარა უსენ თუ გაიგებს  
მისგან გვეუქმება ვარისო,  
ქალმაც არ უნდა იცოდეს  
ისე დავსწიროთ ჯვარიო.  
იშვით ტიპის სიღვდრმა  
მოვხიბლე ჩანჩავირითო,  
დავიახლოვე მიზანიც,  
გავიადვილე ქირიცო.

ბოროტ აფთარმა გავსწირე  
მტრე წლოვანი ქალიო,  
შვილს მოვავიცი კისერზე  
ჩემი ცოდვა და ბრალიო.  
საპაემნო საღამოს  
როგზე მოვაწყე ყოველი,  
შვილი ამხანავს ვასტუმრე  
სიერობაზე მიხიველი.

ეტლით გავგზავნე ორთავე  
წინად განზრახულ მხარესო,  
გზაში დამკემნი დაუხუნენ,  
ყარაღო მოიხმარესო.

ხმა შემდგვი დავარდა,  
რომ ქალი მოიტაცესო,  
ჯვარის დავწერაც მოასწრეს,  
ქრთამიც საქმო ვასცესო.  
ხალს აჯანყდა ერთბაშად,  
მაყრიდენ ქვას და ყორესო,  
ჩემმა ცბიერმა ცრემლებმა  
ვერავინ მოადორესო.

ცოლი წართვეს ჩანჩავირს  
ხალხის სიტყვით და ძლითო,  
სიმე ტყვედ. შვილი უქმაროდ,  
სულ დამწვეს ცეცხლის ალითო.  
ავთანდლო, ამის მწახველმა  
მოქიშვემ ჩანჩავირისო,  
უსენის პატ. ვასცემათ,  
შესამჩატებლად ქირისო,  
ღალატით მოჰკლა ჩანჩავირი,  
დამინებული, მთვრალიო,  
თუმცა რაც მოხდა, ყველაფრის  
მარტო მე მადღეს ბრალიო.  
დასრულდა ესე ამბავი,  
ვითა ზიზმარი ღამისო,  
ზღაპრის ფატმანი ტიპი  
მე მომქმედი ვარ ამისო!

ამას ჩინგურზე მღონროდა,  
თან ეძლეოდა შვებასა.  
მსჯავრის სადგამად წარუდგენ  
ეშმაკის შეუფუებასა.

სულ ერთია.

## წერილი რედაქციას

პატრონო რედაქტორო! ნება მი-  
ბოძეთ თქვენი პატივცემული ჟურ-  
ნალის საშუალებით გამოვიწვიო სა-  
მედიატორო სამართალში კორესპონ-  
დენტი ბ. ს. ნი, რომელიც ცილს  
მწამებს ზედა მაღლაკის აფთიაქის პა-  
ტრონს. დღიდან გამოცხადებისა ვა-  
ძლევ ორი კვირის ვადას, რომ თეი-  
თონაც დანიშნოს მედიატორე. ჩე-  
მის მხრით მედიატორეთ ვნიშნავ ვარ-  
ლამ ისიდორეს ძე ჟორჯოლიანს.  
მტყუანმა მხარემ უნდა გადაიხადოს  
ზედა-მაღლაკის უფასო სამკეთიბელოს  
სასარგებლოთ ხუთი მანეთი.

პატივის-ცემით

მიხეილ ფ. ნივარაძე.



## ქველ-მოგებენი



## თფილისის ზოგ-ზოგ ქუჩაზე